საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიონისე

დიონისე, ბიზანტიელი ელჩი (V ს. II ნახევარი), იმპერატორის დავალებით ჩამოვიდა ეგრისში (დაახლ. 464–465), რათა მოლაპარაკებოდა ბიზანტიის ხელისუფლებისაგან გამდგარ ეგრისის მეფე გუბაზ I-ს. მან გუბაზს აუწყა იმპერატორის გადაწყვეტილება, რ-ის თანახმადაც მეფე იმპერატორს კონსტანტინოპოლში უნდა ხლებოდა. გუბაზმა დ-გან უშიშროების დაცვის გარანტია მიიღო და ბიზანტიის დედაქალაქში მას- თან ერთად ჩავიდა (465).

წყარო: პრისკეპანიონელი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის და ალ. გამყრელიძის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1961.

დ. ლეთოდიანი